13.11.2023წ

მინდობილობა

შპს **„ველლ ჰაუზ დეველოპმენტი“** (ს/ნომერი: 405204540) **დირექტორი (ცოტნე ობოლაშვილი** - პირადი ნომერი №03001017155), **წარმომადგენლის უფლებამოსილებას ანიჭებს შპს „მეტროპოლ ქავთარაძეს“ (ს/ნ 405561486**) რათა მან მიმართოს ქ. თბილისის მერიას, მერიის საქვეუწყებო დაწესებულებებს და ქ. თბილისის მერიის სისტემაში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს: სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05/09/2023წ.№ 6648396 ბრძანებით და 05/09/2023წ. № 6648415 ბრძანებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით. კერძოდ, მშენებლობის ნებართვის აღებამდე სამსახურში შესაბამისი ელექტრონული განცხადებით საკითხი დააყენოს ს.კ 01.14.03.040.341 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების შესაბამისად გზის მოწყობისათვის მშენებლობის ნებართვის მოპოვების თაობაზე და აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად მიიღოს ყველა უფლებამოსილი პირისგან შესაბამისი თანხმობა და ნებართვა.

მინდობილობა გაცემულია 2024 წლის 31 დეკემბრამდე.

შპს „ველლ ჰაუზ დეველოპმენტი“
ს/კოდი: 405204540
დირექტორი:
ცოტნე ობოლაშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

62097810650623

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N231585928

რეგისტრაციის თარიღი

15.11.2023 წ

ნოტარიუსი: ლანა ხანიშვილი

მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N41

ტელეფონი: +995595272888

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდასამი წლის თხუთმეტ ნოემბერს მე, ნოტარიუს ლანა ხანიშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N41, მომმართა ბატონმა გიორგი კურცხალიამ (დაბადებული 10.11.1961წ. თბილისში, პირადი N 01010000718, ID ბარათი 16IA97247, რეგისტრირებული: საქართველო, ქალაქი თბილისი, ლევან მიქელაძის ქუჩა, N 1, ბინა 19), რომელმაც განაცხადა, რომ სურს მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. ვადასტურებ, რომ სანოტარო აქტის მონაწილის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის საფუძველზე, დავადგინე ნების გამოვლენის ნამდვილობა, წავუკითხე ტექსტი მას, განვუმარტე აქტის შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, მათ შორის ის, რომ მარწმუნებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. გიორგი კურცხალიამ წაიკითხა აქტი, მკაფიოდ და ნათლად დაადასტურა, რომ მინდობილობის ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი აღნიშნულ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

გიორგი კურცხალიამ - შემდგომ ტექსტში „მარწმუნებელი“,

შპს „მეტროპოლ ქავთარაძე“-ს (საიდენტიფიკაციო N 405561486, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქ., N 14, ბ. 48) - შემდგომ ტექსტში „რწმუნებული“, მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

1. რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის, როგორც ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ქავთარაძე 2005“-ის (ს/ნ 205206855) თავმჯდომარის სახელით მიმართოს ქ. თბილისის მერიას, მერიის საქვეუწყებო დაწესებულებებს და ქ. თბილისის მერიის სისტემაში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს: სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05/09/2023წ. № 6648396 ბრძანებით და 05/09/2023წ. № 6648415 ბრძანებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით. კერძოდ, მშენებლობის ნებართვის აღებამდე სამსახურში შესაბამისი ელექტრონული განცხადებით საკითხი დააყენოს ს/კ 01.14.03.040.341 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების შესაბამისად გზის მოწყობისათვის მშენებლობის ნებართვის მოპოვების თაობაზე და აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად მიიღოს ყველა უფლებამოსილი პირისგან შესაბამისი თანხმობა და ნებართვა.

2. მინდობილობა ძალაშია ორი ათას ოცდაექვსი წლის ოცდათერთმეტი დეკემბრის ჩათვლით.

მინდობილობა შედგა 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლ. ხანიშვილის სანოტარო ბიუროს არქივში, ხოლო ორი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის საზღაური 18 (თვრამეტი) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507-ე დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე 5 (ხუთი) ლარი ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507-ე დადგენილების 39-ე მუხლისა. სულ გადახდილია 23 (ოცდასამი) ლარი.

„მარწმუნებელი“ _____

ნოტარიუსი
ლანა ხანიშვილი